

# საქართველოს მთავრობის

## დადგენილება №312

2014 წლის 29 აპრილი

ქ. თბილისი

### კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ მუხლი 1

„ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების შემდეგი ნუსხა:

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;
2. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო;
3. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო;
4. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;
5. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;
6. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;
7. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
8. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
9. საქართველოს პარლამენტი;
10. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია;
11. საქართველოს მთავრობის კანცელარია;
12. საქართველოს ეროვნული ბანკი;
13. საქართველოს მთავარი პროკურატურა;
14. ქალაქ თბილისის მერია;
15. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის აპარატი;
16. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – „სმარტ ლოჯიკი“ (SMART LOGIC);
17. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო;
18. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სოციალური მომსახურების სააგენტო;
19. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი;
20. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო;
21. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საფინანსო-ანალიტიკური სამსახური;



22. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო;
23. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური;
24. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური;
25. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო;
26. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი;
27. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სამედიცინო მედიაციის სამსახური;
28. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სამოქალაქო ავიაციის სააგენტო;
29. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო;
30. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო;
31. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა;
32. სააქციო საზოგადოება „საქართველოს რკინიგზა“;
33. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქაერონავიგაცია“;
34. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება“;
35. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი;
36. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სასაზღვრო პოლიცია;
37. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო;
38. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „112“;
39. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - გარემოს ეროვნული სააგენტო.

## **მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**პრემიერ-მინისტრი**

**ირაკლი ღარიბაშვილი**

